2121709928715

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე

11.11.2015 წელი ქ.სენაკი

სენაკის რაიონული სასამართლო
მოსამართლე - ლევან ნუცუბიძე
სხდომის მდივანი - ვასილ გოგინავა

პროკურორი - გ. კ.,
სტაჟიორ პროკურორი - ი. ტ.
ბრალდებული - კ. კ.
ადვოკატები - ს. ჯ, კ.წ, შ.კ
თარჯიმანი- ლ.ფ

მონაწილეობით, ბრალდებულის პირველი წარდგენის ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სენაკის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორის ი.ტ შუამდგომლობა ბრალდებულ **კ.კ** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, ასევე წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

გამოძიების მწარმოებელი ორგანო: საქართველოს შსს სენაკის რაიონული სამმართველო
საქმე №068091115001

ბრალდებული: **კ. კ.**
მამის სახელი: ს.
დაბადებული: 2.0.1. წ.
დაბადების ადგილი: მ.
მოქალაქეობა: ბ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
ნასამართლეობა: არ მქონე
რეგისტრირებული: ლ.რესპუბლიკა, ქ.კ, ქუჩა გ, კორპუსი №ბ, ბინა №

პასუხისგებაში მიცემის მუხლი: **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი;**

დაკავების დრო: 09.11.2015 წელი, 12:28 საათი;

ბრალდების არსი: ჩაიდინა ქურდობა, ე.ი დიდი ოდენობით. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

მის მეირ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 07 ნოემბერს, დაახლოებით 11:30 საათზე, ქ.ს, ჭ. ქ.№-ში მდებარე ი.ვ. საცხოვრებელ ბინაში იმყოფებოდა ბ. რესპუბლიკის მოქალაქე კ.კ, რა დროსაც იგი, საძინებელ ოთახში მდებარე კარადიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ი.ვ კუთვნილ დიდი ოდენობით ფულად თანხას 12 000 აშშ დოლარს და 190 000ლარს, რის შედეგადაც ი.ვ მიადგა 218 797 ლარის ქონებრივი ზიანი.

2015 წლის 11 ნოემბერს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა სენაკის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა ი.ტ და მოითხოვა ბრალდებულ კ.კ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდება შემდეგ გარემოებებზე მითითებით: ბრალდებული კ.კ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ცდილობდა მიმალვას, თუმცა იგი დაკავებულ იქნა ქუთაისის აეროპორტში. შესაბამისად არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ მოსალოდნელი სასჯელის შიშით იგი მიიმალება და თავს აარიდებს გამოძიებასა და სასამართლოს. ასევე აღსანიშნავია, რომ ბრალდებულ კ.კ მხრიდან არსებობს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფომრაციის განადგურების დასაბუთებული ვარაუდი, რადგან საქმეზე არსებული მთავარი ნივთმტკიცება ფულადი თანხა გამოძიების მიერ ჯერჯერობით ამოღებული არ არის და მიმდინარეობს ამ მიმართულებით საგამოძიებო მოქმედებები. ასევე არსებობს ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების რეალური საფრთხე, ვინაიდან საქმეში არსებულ მოწმეთა უმრავლესობასთან მას გააჩნია ახლო მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობები. ბრალდებულის მხრიდან არსებობს მიმალვის რეალური საფრთხე. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბრალდებული კ.კ არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, კავშირები გააჩნია საზღვარგარეთ, იგი ქურდობის ჩადენის შემდეგ ცდილობდა საქართველოს ტერიტორიის დატოვებას, თუმცა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ იგი დაკავებული იქნა ქ.ქუთაისის აეროპორტში, მაშინ როდესაც იგი ცდილობდა გამგზავრებას ქ.ვილნიუსის მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ბრალდებულს ბრალი ედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ბ'' პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ათ წლამდე, ალტერნატივის სახით არ ითვალისწინებს სხვა, ნაკლებად მკაცრ სასჯელს, შესაბამისად აღნიშნული გარემოებაც ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ მოსალოდნელი სასჯელის შიშით ბრალდებული მიიმალბა. ასევე, ბრალდებულის მხრიდან არსებობს მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის დასაბუთებული ვარაუდი, რადგან როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საქმეზე არსებული ძირითადი ნივთმტკიცება დიდი ოდენობით ფულადი თანხა არ არის ამოღებული, არ არის დადგენილი მისი ადგილსამყოფელი, შესაბამისად არსებობს

დასაბუთებული ვარაუდი, რომ თავისუფლებაში ყოფნის პირობებში ბრალდებული შეეცდება გაანადგუროს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ჩიხში შეიყვანოს გამოძიება (არ აღიარებს, არ თანამშრომლობს) და ხელი შეუშალოს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ბრალდებულ კ.კ მხრიდან არსებობს მოწმეებზე ზემოქმედების დასაბუთებული ვარაუდი, რადგან როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქმეში არსებულ მოწმეებთან ბრალდებულს გააჩნია ახლო მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთობები, შესაბამისად არსებობს დასაბუთებული ვარუდი, რომ მოსალოდნელი პასუხისმეგბლობისგან თავის დაღწევის მიზნით შეეცდება მათზე ზეგავლენის მოხდენას, რითაც ხელი შეეშლება მართლმსაჯულებას. ბრალდებულ კ.კ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს - პატიმრობა, რათა მოხდეს ბრალდებულის მიმალვის, მტკიცებულებების მოპოვების და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის თავიდან აცილება.

სასამართლო სხდომაზე პროკურორმა გ.კ და სტაჟიორ-პროკურორმა ი.ტ მხარი დაუჭირეს შუამდგომლობას იგივე საფუძვლებით და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა პროკურორის შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირეს და ითხოვეს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის ან ალტერნატივის სახით გირაოს გამოყენება. მათვე წარმოადგინეს კონკრეტული თავდები პირები.

ბრალდებული კ.კ დაეთანხმა თავისი ადვოკატების პოზიციას.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები, მიაჩნია, რომ პროკურორის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდებულ კ.კ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ უნდა იქნეს პატიმრობა შემდეგ გარემოებათა გამო:

კ.კ დაკავებისას, მისი ბრალდებულად ცნობისას, ასევე სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით არ დასტურდება.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა (ი.ვ დაკითხვის ოქმები, გ.ძ დაკითხვის ოქმები, მ.ჩ დაკითხვის ოქმები, შ.ც დაკითხვის ოქმი, რ.კ დაკითხვის ოქმი, გ.ხ დაკითხვის ოქმი, კ.ი დაკითხვის ოქმი, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ფულადი თანხის დათვალიერების ოქმი, დოკუმენტის დათვალიერების ოქმი, კ.კ პირადი ჩხრეკის ოქმი) და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს ბრალდებულ კ.კ.

სასამართლო თვლის, რომ დასაბუთებულია პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა, კერძოდ ის, რომ აღკვეთის ამ ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული ბრალდებულის მიმალვის, მტკიცებულებათა მოპოვებისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, ასევე ახალი დანაშულის ჩადენის თავიდან აცილების საფრთხე.

ბრალდებულის მიმართ სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიზანშეუწონელია, ვინაიდან სასამართლო თვლის, რომ პატიმრობაზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი კ.კ მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, კერძოდ ვერ იქნება თავიდან აცილებული ბრალდებულის მიმალვა და სასამართლოში გამოცხადებისაგან თავის არიდება, მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა.

პატიმრობის გამოყენების დასასაბუთებლად სასამართლო ეყრდნობა შემდეგ გარემოებებს:

დადგენილი და უდაოა, რომ ბრალდებულის დაკავება მოხდა ქუთაისის აეროპორტში, მას შემდეგ რაც პირმა გაირა რეგისტრაცია და მზად იყო დაეტოვებინა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. აღნიშნული მოქმედების განხორციელების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ან უკიდურესად გართულდებოდა მის მიმართ ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ზემოქმედება ,მოახდინოს მოწმეებზე და გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. უდაოა, რომ მას გააჩნია ქ.სენაკში გარკვეულ პირებთან მეგობრული და საქმიანი კავშირები. მოსალოდნელია აღნიშნული კავშირები პირმა გამოიყენოს სწორედ იმ მიზნით რომ თავი აარიდოს მართლმსაჯულებას. აღნიშნული ქმნის საფუძვლიან ვარაუდს ეჭვისათვის რომ ის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ხელს შეუშლის საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების გონივრულ ვადებში მიღებას.

სასამართლო განმარტავს, რომ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით, შესაძლოა კანონიერად იქნეს მიჩნეული ბრალდებულის მიმალვისათვის ხელისშემწყობ ფაქტორად.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ქმედება და დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ხერხი წარმოადგენს მომეტებულ საშიშროებას, პირი, რომლსაც ბრალი წარდგენილი აქვს ასეთი ქმედებისათვის, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით საჭიროებს გამოძიების პროცესში მკაცრი აღკვეთის ღონისძიების ქვეშ ყოფნას, რადგან გამოირიცხოს მისი მხრიდან ანალოგიური ქმედება.

კონკრეტულ შემთხვევაში დაპატიმრებაზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არაგონივრულია. სხვა აღკვეთის ღონისძიება ვერ შეასრულებს აღკვეთის ღონისძიების მთავარ ფუნქციას და ვერ იქნება მიღწეული მისი მიზნები. . ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა შესაძლებელს გახდის საქმეზე სწრაფი და ობიექტური გამოძიების

გონივრულ ვადაში ჩატარებას ხელისშემშლელი გარემოებებისა და ფაქტორების გარეშე.

ამავე დროს სასამართლო თვლის, ბრალდებულის დაკავების ოქმში არ არის სწორად მითითებული ბრალდებულის დაკავების ზუსტი დრო და განმარტავს: ბრალდებულის ფაქტობრივი დაკავების ზუსტი დროის ათვლა უნდა დაწყებულიყო ბრალდებულის პირადი ჩხრეკის დაწყების მომენტიდან, თუმცა ეს არ წარმოადგენს იმგვარი ხასიათის დარღვევას, რომელსაც შეუძლია კონკრეტულ შემთხვევაში გავლენა მოახდინოს აღკვეთის ღონისძიების სახეზე, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ დაცულია ბრალდებულის დაკავებიდან 48:00 საათის ვადაში მისი სასამართლოში წარდგენის ვადა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდებულის ფაქტობრივი დაკავების დროდ ჩაითვლება ჩხრეკის დაწყების დრო, კერძოდ 2015 წლის 09 ნოემბრის 11:46 საათი.

სასამართლო დაპატიმრების საფუძვლად ვერ გამოიყენებს პროკურორის მიერ აბსოლუტურად დაუსაბუთებელ არგუმენტს, იმის შესახებ, რომ ქ.ზუგდიდი მდებარეობს საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიასთან ახლოს და შესაძლოა ბრალდებულმა ამ გზით სცადოს მიმალვა.

სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის შუამდგომლობას ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავდებობის ან ალტერნატივის სახით გირაოს გამოყენების შესახებ, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ აღნიშნული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. თავდებობის ან გირაოს გამოყენებამ არ შეიძლება უზრუნველყოს იმ საფრთხეების გაუვნებელყოფა, რომელიც შეექმნება გამოძიებას პატიმრობის გამოყენების გარეშე.

ამასთან სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება არ წარმოადგენს შეუქცევადი ხასიათის მატარებელ შეზღუდვას და ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს მისი გადასინჯვის სხვადასხვა შესაძლებლობას სამართალწარმოების ამა თუ იმ ეტაპზე..

.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულ: კ.კ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებით.

გარდა ამისა, სასამართლომ მოისმინა მხარეთა მოსაზრებები წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის ნაწილში და მიაჩნია, რომ წინასასამართლო სხდომა უნდა დაინიშნოს 2015 წლის 28 დეკემბერს 13^{00} საათზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე–3 მუხლის მე–11 ნაწილით, მე–20, 38-ე, 93-94–ე, 196-200-ე, 205–208–ე , 315-ე 317-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სენაკის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორის ი.ტ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ბრალდებულ **კ.კ** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნეს პატიმრობა;

3. ბრალდებულ **კ.კ** პატიმრობის ვადა აითვალოს მისი დაკავების მომენტიდან - 09.11.2015 წელი, **11:46** საათიდან.

4. ბრალდებული **კ.კ** მოთავსებულ იქნეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის დაწესებულებაში.

5. განჩინების ასლები გადაეცეთ საქართველოს სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ პირებსა და ორგანოებს;

6. წინასასამართლო სხდომა დაინიშნოს 2015 წლის 28 დეკემბერს 13^{00} საათზე, სენაკის რაიონულ სასამართლოში.

7. მხარეებს დაევალოთ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა ერთმანეთს და სასამართლოს მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში;

8. განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, მისი გამოტანიდან 48 საათის განმავლობაში, სენაკის რაიონული სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე **ლევან ნუცუბიძე**